საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

# საქართველოში სეზონურად გადაადგილებადი ეკოლოგიური კემპინგების ფრანჩაიზინგული ეროვნული ქსელის შექმნა

საგრანტო ხელშეკრულება 412-2015-2

პროქტის ხელმძღვანელი: მ.გოგოხია

თბილისი 2015

ანგარიში

საგრანტო პროექტის განხორციელების შესახებ

სტუს საგრანტო ხელშეკრულება #412-2015-2-ის თანახმად(1/072015-30/09/2015 წ.წ. პერიოდში) შეიქმნა ხელშეკრულებითგათვალისწინებული „ეკოკემპინგების ფრანჩაიზინგული ქსელის ბიზნეს-გეგმა“, რომელმაც უცხოელინვესტორთა მიერცნობადობის უზრუნველსაყოფად მიიღო შემდეგი სრული დასახელება: „ საქართველოში ეკოკემპინგების ფრანჩაიზინგული ეროვნული ქსელის შექმნის ბიზნეს-გეგმა “.

გრანტითგანსაზღვრული პირობების თანახმადგრანტის მთლიანი თანხა მოხმარდა ბიზნეს-გეგმის შესაქმნელადშტატგარეშე სპეციალისტთა სახელფასოანაზღაურებას, რაც შესაბამისადდასტურდება სტუს ბუღალტერიის მიერგატარებული ხელფასების ტრანზაქციებით აღსანიშნავია რომ ივლისის თვეში გრანტითგათვალისწინებული დაფინანსება მიღებული იქნა (სეზონური ფაქტორის გამო) ერთი თვის დაგვიანებით მაგრამ ამას არშეუშლია ხელი პროექტის მსვლელობისთვის.

ბიზნეს-გეგმის მსვლელობის პერიოდში გამოვლინდა ცდომილებები საგრანტო ხელშეკრულებით დასახულქმედებებსა და მათგანმხორციელებელშემსრულებელთა ფუნქციებს შორის, მაგრამ ჯამურადპროექტში ჩართულმა კონტინგენტმა უპრობლემოდგაართვა თავი ახლადწარმოქმნილ გამოწვევებს.

ვინაიდან პროექტის თემა გულისხმობს საქართველოში ტურისტულბიზნესის ახალი ძალიან პერსპექტიული მიმართულების განვითარებას და თან ორიგინალური-ეფექტური ბიზნესსქემით რომლის განსახორციელებლადსაჭიროა მოცემული ბიზნეს-გეგმითინვესტორის დაინტერესება და მოზიდვა პროექტის ინიციატორთა შეზღუდული შესაძლებლობის პირობებში, გადაწყვეტილი იქნა ბიზნეს-გეგმაში არშესულიყო ისეთი დეტალები, რომელთა გაშიფვრის შემთხვევაში, დაინტერესებულინვესტორს შეეძლებოდა უპრობლემოდპროექტის განხორციელება სტუს და პროექტის ავტორთა დაუკითხავად მხოლოდბიზნეს-გეგმის გაცნობით

შესაბამისადბიზნეს-გეგმაში მაქსიმალურადწარმოვაჩინეთეკოკემპინგების ფრანჩაიზინგული ქსელის იდეა-დასაბუთებით მისი ეკონომიკური მომგებიანობის ასპექტები და გათვლები როგორც ფრანჩაიზერი (მქირავებელი) საოჯახობიზნესის ასევე ფრანშიზის მფლობელი კომპანიის (ცენტრის-გამქირავებლის) პოზიციიდან.

ასევე ხაზი გავუსვითიმას რომ ეკოკემპინგების პირველი ფრანშიზა საქართველოში მინიმალური კონფიგურაციითშექმნის 60-ზე მეტ სეზონურსაოჯახობიზნესს (ჯამური წლიური მოგებით400 ათასი ლარი=6,5ათასი ლარი წმინდა მოგება 3 თვიან სეზონზე), მათში 300-მდე დასაქმებულოჯახის წევრებს (3 თვიან სეზონზე- 240 ათასი ლარი ხელფასი) და ყოველწლიურად 20ათასამდე უცხოელი და ადგილობრივი ტურისტის მომსახურების შესაძლებლობას მხოლოდ1 მლნ. ლარის ინვესტიციად რომელიც მხოლოდდივიდენდადამოღებული იქნება 3,3 წელიწადში, უზრუნველყოფს კემპინგთა რაოდენობის ზრდას 20%-ითწლიურადდა მეოთხე წლიდან წმინდა

წლიური მოგებას 300 ათას ლარს+100 ათას ლარს ყოველმომდევნო წელს სანამ კემპინგთა რაოდენობა არ გადააჭარბებს 500 მინ. სტანდარტ. კემპინგს=2000 კემპს ე. ი. თუ კონკურენტები არ გამოჩნდა ამ ბაზარზე 100 წელია საჭირო საკუთარი სახსრებით საქართველოს ბაზრის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად-უსაზღვრო სიღრმის ბაზარს ბიზნესის განსავითარებლად ეს პათეთიკური ნოტები და შთამბეჭდავი ციფრებიც შევიტანეთ ბიზნეს-გეგმის ცხრილებში, უმეტესად არა როგორც ზემოთ ჩვენს მიერ ინტერპრეტირებული სტატისტიკური ამონარიდების, არამედ ინვესტიციების ეფექტურობის შესაფასებელი კოეფიციენტების სახით

ბიზნეს-გეგმაზე დამატებით წარმოვიდგენთ ყველა იმ საკითხთა ჩამონათვალს, რომელიც ჩვენი აზრით ხელს უწყობს სტუს და ავტორთა კოლექტივის საავტორო უფლებების უკეთ წარმოჩინებას საგრანტო ხელშეკრულების პ.9.1-ის თანახმად და ბიზნეს-გეგმით გათვალისწინებული პროექტის ცხოვრებაში განსახორციელებლად

1. წინასწარ საავტორო უფლებებზე განცხადების გარეშე ჩვენ იძულებული ვართ ბიზნეს-გეგმის ლოგიკიდან გამომდინარე ღიად დავაფიქსიროთ საქართველოში სეზონური ეკოკემპინგების ფრანჩაიზინგული ეროვნული ქსელის შექმნის ორიგინალური ბიზნეს-სქემა. კემპის სასტუმრო ნომრად კემპებისგან შედგენილი -კემპინგების კომპლექტის გაქირავება სეზონურად ტურისტულ დამიმზიდველ ადგილებში მცხოვრებ მეწარმეებზე-ოჯახურ ბიზნესებზე, ერთი კომპანიიდან ერთიანი ბიზნეს მოდელით ფრანშიზით ერთი ფრანჩაიზინგული კომპანიიდან.
   -კემპი სასტუმრო ნომრად ინოვაციურია მხოლოდ საქართველოსთვის
   -მხოლოდ კემპებისგან კემპინგის მოწყობა ძალიან იშვიათი მოვლენაა მსოფლიოში
   -სეზონურად გადაადგილებადი კემპინგები ან შესაბამისი ფრანშიზა ვერ დავაფიქსირეთ
   -ყველა ამ ზემოაღნიშნული ფაქტორის ერთობლიობა (ჩვენი აზრით)მხოლოდ შემოთავაზებულ პროექტშია შერწყმული (საპატენტო პრიორიტეტებზე დარწმუნებით სასაურო სამიროდ საჭირო კვლევები არ ჩატარებულა)**აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია საპატენტო კვლევის ჩატარება და პრიორიტეტის მიზნებისთვის ბიზნესგეგმის ანოტაციის პუბლიკაცია**

2. სეზონური კემპინგების მქირავებლებისთვის ფრანშიზაში ჩვენ ვგულისხმობთ ხმოვანი და მობილური კომუნიკაციით სეზონური ეკოკემპინგის მფლობელი საოჯახო ბიზნესის ჩართულობას ინტერნეტით მომხმარებლებთან და ტუროპერატორებთან და ამის განმარტებებს არ ვაკეთებთ მოცემულ ბიზნეს-გეგმაში. ჩვენს მიერ დაგეგმილი ორიგინალური კომუნიკაციის ლოგიკის განმარტება ძალიან დაარგაზრდის ინვესტორის დაინტერესებას მაგრამ შეიძლება დააზიანოს იდეის ავტორთა ინტერესები

3. კემპინგის ორგანიზებისას ანალიზმა გვიჩვენა რომ უკეთესია თუ კემპინის მომსახური სავაჭრო წერტილი იურიდიულად იქნება გამოყოფილი კემპინგისგან-ტურისტული სადგომისგან, ოჯახური ბიზნესის პირობებში ეს არ არის პრობლემატური. ბიზნეს-გეგმაში ეს მომენტი არ არის განხილული

4. კემპინგების ანგარიშსწორება ტურისტებთან და ტუროპერატორებთან პლასტიკური ბარათებითინტერნეტსაიტებზე უნდა განხორციელდეს ფრანჩაიზინგული კომპანიის-ცენტრის მეშვეობით ეს შეამცირებს ოჯახური ბიზნესის ხარჯებს და კემპინგის პერსონალის ამ მიმართულებითარაკომპეტენტურობის პრობლემას მოხსნის. ბიზნეს-გეგმაში ეს მომენტიც არ არის განხილული

5. კემპინგის როგორც სასტუმროს ფუნქციონირების უმეტესი ინფორმაცია კონცენტრირდება ცენტრში, ამიტომ ლოგიკურია კემპინგების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ცენტრის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე, ეს უფრო იაფი დაუჯდება კემპინგებს, ხოლო ცენტრს არ შეექმნება ფრანშიზის ქირის გადაუხდელობის პრობლემა.

6. ლოგისტიკურადსაჭიროა დასავლეთსაქართველოში და აღმოსავლეთსაქართველოში თითობაზა სადაც შესაძლებელი იქნება კემპების რემონტი, კემპების გადაცემა ფრანშიზის მქირავებლებზე და სეზონის გასვლის შემდგომ მათგან კემპების მიღება, ასევე დროებით დაუსაქმებელი კემპებისგან ჰოსტელის მოწყობა. იდეალურია სტუს ბაზა დიდჯიხაიში და ბაზა თბილისში (ანალოგხელსაწყო).

7. კემპინგების პერსონალის ტრენინგისთვის აუცილებელია მოქმედი კემპებისგან მოწყობილი ტურისტული სადგომი სადაც წარმოდგენილი იქნება ყველა მარკის კემპი რომლებიც იქნება კემპინგებზე ექსპლუატაციაში. იდეალური იქნება ადმინისტრაციული კორპუსის უკან გაზონზე- ხეების ძირში 10 სხვადასხვა მარკის კემპისგან სტუდენტური ჰოსტელის (მიღებული პრაქტიკაა როცა სტუდენტური ორგანიზაციები ეპატიჟებიან ერთმანეთს თავის ქვეყანაში სთავაზობენ მათბიუჯეტური ღამისთევის და დასვენების პირობებს და ერთობლივ ღონისძიებებს) მოწყობა. დღე ჰოსტელები ცარიელია ტურისტებისგან და იქ პერსონალი დაკავებულია იმ პროცესებითრომლებიც უნდა შევასწავლოთკემპინგების პერსონალს-რაც იდეალურია რეალურადმოქმედკემპინგ-ჰოსტელზე სწავლების და ტრენინგის ჩასატარებლად

8. სტუს საწარმოო ბაზას უნდა მივცეთშესაძლებლობა კემპინგთა ექსპლუატაციის პირობებში შეისწავლოს და წარმოაჩინოს ის კემპინგებისთვის საჭირო კომპონენტები სადაც რემონტზე ან იმპორტზე უფრო მომგებიანი შეიძლება იყოს იგივე კომპონენტი სტუს საწარმოო ბაზაზე წარმოებული (მაგალითადმისაბმელზე საშხაპე/ტუალეტი, ენერგომომარაგების მოდულები მზის/ქარის/ჰიდრო, სავაჭრო მოდული მისაბმელზე და ა.შ.)

სტუს საერთაშორისოუნივერსიტეტებთან გააქტიურებული თანამშრომლობის პირობებში შეიძლება განხილულიქნეს ეკოკემპინგების საპილოტე ქსელის შექმნა(სტუს და უცხოური უნივერსიტეტების ერთობლივი ინვესტიციით) როგორც ორიგინალური სასწავლო ინფრასტრუქტურის, სადაც განხორციელდება დასვენება და ტურიზმთან შეთავსებული ინტენსიური სწავლის კურსების ჩატარება გარკვეულდისციპლინებში (დასვენება სწავლების რეჟიმში და სწავლება დასვენებასთან შეთავსებით). ლოგიკურია პირველრიგში ეკოლოგია და ტურიზმი და დასვენებასთან დაკავშირებული დისციპლინების შესასწავლადკემპინგების

ორგანიზება. ასევე მნიშვნელოვანია ახალი განსხვავებული დარგების გადაკვეთაზე წარმოქმნილი კურსების შესასწავლად რომლებიც ფაკულტატიურ კურსებს განეკუთვნებიან ან საერთოდ არ არიან ჯერ კიდევ სასწავლო პროგრამაში და დაინტერესებულსტუდენტთათვის იდეალური დასვენების და ამ კურსების შეთავსება!!!

თუ ვერ მოხერხდა შესაბამისი ინვესტორების და დაფინანსების მოძიება ჩვენ შეგვიძლია ასეთ პირობებში სტუს სტუდენტების, ლექტორების და ადმინისტრაციის მობილიზაცია დასაბუთებული ბიზნეს პროექტის აქციონირების გზით განსახორციელებლად(აუცილებელი არ არის შემოვიფარგლოთ მხოლოდ სტუ-თი შეიძლება ამ პროექტს მივცეთ საუნივესტაშორისო სტატუსი უნივერსიტეტთაშორისო შეთანხმების საფუძველზე). მაგალითად ერთი აქცია =10 ლარს და ამის საფუძველზე მთელი სტუდა საუნივერსიტეტო საზოგადოება ზრუნავს პროექტისთვის საჭირო საქციო კაპიტალის მოსაზიდად!! პროექტის თემის საჭიროება მოიცავს თითქმის ყველა სასწავლო სპეციალობას: ეკოლოგია, მენეჯმენტი, დიზაინი, პროგრამირება, პიარი, ბუღალტერია და ა.შ. რომელთა ჭრილში ყველა სტუდენტს და ლექტორს შეუძლია თავისი წინადადებები წარმოადგინოს.